საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 19 (6513) 14 მაისი ხუთშაბათი 1992 წელი

## რაიონული საკრებულოს გამგეობაში

რაიონული საკრებულოს გამგეობის სხდომამ განიხილა საკითხი რაიონში 1975 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერისა და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ, მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

გამგეობამ განიხილა საკითხი რაიონში ბინების პრივატიზაციის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების მოთხოვნათა განხორციელების მიზნით შექმნა ბინების პრივატიზაციის რაიონული კომისია. კომისიას დაევალა მოახდინოს რაიონში არსებული სახელმწიფო საბინაო ფონდის სასწრაფო ინვენტარიზაცია, შესაბამისი საკრებულოების და ადმინისტრაციული ორგანოების უშუალო მონაწილეობით დაადგინოს ბინების უკანონო მფლობელთა ვინაობა და იზრუნოს კანონიერების დამკვიდრებისათვის.

რაიონის პროკურატურას დაევალა განახორციელოს სამართლებრივი ზედამხედველობა რაიონში ბინების პრივატიზაციის მიმდინარეობაზე.

გამგეობამ განიხილა საკითხი ქალაქ ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერისათვის სასაფლაოდ მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ქალაქში არსებული სასაფლაო უკვე შევსებულია და ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ რამდენიმე წელია მოსახლეობა აყენებს საკითხს სასაფლაოსათვის მიწის ახალი ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. გამგეობის გადაწყვეტილებით ქ. ცაგერისა და ქვედა ცაგერისათვის სასაფლაოდ გამოიყო 3,5 ჰექტარი მიწის ფართობი ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე. მისი კეთილმოწყობა დაევალა შესაბამის ორგანიზაციებს.

გამგეობამ განიხილა საკითხი 1992 წლის სამხედრო ბეგარაში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების ღონისძიებათა შესახებ, მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს გამგეობის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რაიონის ცხოვრების სხვა საკითხებზე.

### წლის მოსავალს – საიმედო საფუძველი!

## სადაც გული გულობს...

მაისია. ხვნის აგროვადები იწურება, სოფლად უამრავი დაუხნავ-დაუთესელი მიწაა, არადა სწორედ ახლა მზადდება საფუძველი მოსავლისათვის და დაგვიანება მოსავლის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაც ყველაფერი ვიღონოთ ხვნის დროული დამთავრებისათვის.

იქ, სადაც ამ მნიშვნელოვანი საქმის კარგად წარმართვისათვის მონდომება და გაბედულება გამოიჩინეს, საქმეც კარგად მიდის.

ამას წინათ ლაილაშში კოლმეურნეობა მომსახურე რგოლით შეიცვალა, რგოლს სათავეში ამ სოფლის მკვიდრი, რაიონული საკრებულოს წევრი [illegible] ჩაუდგა. სასწრაფოდ შემოიტანეს საწვავი, [illegible] ტრაქტორები და საქმეს შეუდგნენ. მათთვის ახლა ის კი არაა მთავარი, ხვნის ფულს ვინ ადრე და ვინ გვიან გადაიხდის, არამედ ის, რომ რაც შეიძლება მალე დაიხნას და მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი.

48 ჰექტარი დახნულია, 40 ჰექტარი დაფარცხული, რაც გამოცდილი ტრაქტორისტების მიხეილ მესხაძის და ოთარ ქარსელაძის საქმისადმი ერთგულებასა და შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს.

## ნუთუ აქამდეც მივედით?

(კრიმინალური ქრონიკა)

დღეს რესპუბლიკაში მეტად დაძაბული კრიმინოგენური სიტუაციაა. გააქტიურდა დამნაშავეთა სამყარო. პრესით, რადიოთი ყოველდღიურად გაისმის—გაძარცვეს, გაქურდეს, პირადი თუ საზოგადოებრივი ქონება გაიტაცეს, მოკლეს ესა თუ ის პიროვნება. რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციას თავისი გამოძახილი აქვს ჩვენს რაიონში. ხშირად ხდება ძარცვა, ქურდობა და სხვა დანაშაულობანი. 11 მაისს მომხდარმა დანაშაულმა კი ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

დაახლოებით დილის 10 საათზე მდინარე ჯონოულის სანაპიროზე სამუშაო ობიექტის, ქვის სახერხი ქარხნის ტერიტორიაზე ფულის გამოძალვის მიზნით ბანდიტთა ჯგუფმა ქარხნის თანამშრომელს მამუკა თვარაძეს წაართვა საკუთარი ავტომანქანა, რომლითაც გაიტაცეს კარლო სევარიონის ძე მუშკუდიანი.

გამტაცებლებმა კ. მუშკუდიანი წაიყვანეს წყალტუბოს მიმართულებით. სოფელ ლვედამდე გადაიყვანეს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე და ტყეში დამალეს. წინადადება მისცეს გამოსასყიდად ოჯახს გადაეხადა 200 ათასი მანეთი.

მილიციის მუშაკთა ოპერატიული მოქმედების შედეგად ბანდის ორი წევრი, ცაგერელები გიორგი ვაჟას ძე ქარსელაძე და ჯონდო იურის ძე სალინაძე ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომანქანით დაკავებული იქნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის ტერიტორიაზე. მათი საშუალებით დაადგინეს გატაცებულის ადგილსამყოფელი. ოპერატიული მოქმედებით, მოქალაქეთა ერთი ჯგუფის აქტიურობით სოფელ ლვედის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყეში მიკვლეული იქნა კ. მუშკუდიანი და მისი ერთ-ერთი გამტაცებელი. მიუხედავად დიდი მცდელობისა ესარგებლა ტყით და გაქცეოდა ორგანოს მუშაკებს, დაკავებულ იქნა ბანდის კიდევ ერთი წევრი თბილისელი მერაბ დოლიძე, რომელიც შეიარაღებული იყო ავტომატით, ნაგანის სისტემის რევოლვერით და ხელყუმბარით. ერთი ბანდიტი მიიმალა. მიმდინარეობს ძებნა.

## უ ს ა ხ ე ლ ო უ რ ი:

## ბაღ-ვენახები ნადგურდება

70-იან წლებში უსახელოურის უნიკალური ჯიშის ვაზის აღდგენა-გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელობამ. ამ მიზნით 1975–1976 წლებში ოყურეშის, ზუბისა და ისუნდრის კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც მარტო ცხაკურის ტერიტორიაზე გააშენა 11 ჰექტარზე მეტი ვენახი.

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი 1990 წლიდან, სოფლის მეურნეობაში შექმნილმა განუკითხაობამ, ქაოსმა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაც განადგურების პირზე მიიყვანა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმების მიზნით დაწყებულმა მოძრაობამ სოფელ ოყურეშის მცხოვრებლებზეც იმოქმედა, მოითხოვეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა და ცხაკურის ტერიტორიაზე მოწეული ვენახების მიკუთვნება. ოყურეშისა და ზუბის მაშინდელი სასოფლო საბჭოების და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა 1990 წლის 29 მარტს მოახდინეს ცხაკურის ტერიტორიის გაყოფა. გაყოფილი ფართობები ჩაბარდა შესაბამის უბნის ხელმძღვანელებს. ოყურეშის მცხოვრებლებს ერგოთ 4,89 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. იმავე წელს გარდა 3–4 მენაკვეთისა მიატოვეს გაპიროვნებული ვენახის ნაკვეთები და დაიწყეს პირუტყვის ჩაშვება.

ოყურეშელების მიერ მიტოვებული ვენახის ნაკვეთების მოვლა დაიწყეს ცაგერში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, პროფტექნიკური სასწავლებლისა და ბადე, დაანგრიეს ზუბელების მიერ გაკეთებული ღობეები, ვენახებში დათხარეს საყრდენი ცემენტის ბოძები, აიღეს შპალერის მავთული და ნაცვლად გასხვლისა შეუშვეს პირუტყვი. ოყურეშელების კუთვნილი 4,89 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის არცერთი ძირი 5 მაისს გასხლული არ იყო, არც დღესაა გასხლული, მნახველს

ზოგიერთი სხვა წარმოება-დაწესებულების მუშაკებმა, მაგრამ ისინი ოყურეშელებმა გააფრთხილეს აღარ ემუშავნათ ამ ნაკვეთში, რადგან ის მათი საკუთრებაა და ცაგერელებმაც შეწყვიტეს მუშაობა, ხოლო ოყურეშელებს არაფერი გაუკეთებიათ ამ ნაკვეთების მოვლისათვის.

გასული წლის ბოლოს მასიურად შეუშვეს პირუტყვი ვენახებშიც, ხოლო წლეულს ჩაიდინეს გაუგონარი რამ–– ახსნეს მათ კუთვნილ ვენახს ოყურეშის მხრიდან შემოსაკავებელი მავთულ- გულს ტკენს გაუსხლავი, პირუტყვისაგან განადგურებული ვენახი.

5 მაისს, ცხაკურის ვენახების დათვალიერების დროს, რამდენიმე ზუბელი ღობეს აკეთებდა. იქ მომუშავე ზუბის აგროუბნის ყოფილმა უფროსმა გუშერ ბენიძემ გვითხრა: ზუბელები ვერ ავუდივართ ოყურეშელების მიერ დანგრეული ღობეების კეთებას, მათი პირუტყვის დევნას, ამის შედეგიაო, რომ ზუბელებს გული გაუტყდათ, ოყურეშელები ჩვენს გაკეთებულ ვენახებს პირუტყვს შეაჭმევენო და რამდენიმე ზუბელ მენაკვეთეს ჯერ კიდევ არ გაუსხლავს ვაზი.

უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექცია უძლურია, არავინ არ უსმენს. ხოლო სოფელ ოყურეშის საკრებულოს გამგეობა ვერ იღებს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

გასაკვირი ის არის, რომ ოყურეშელები ერთმანეთს ებრძვიან მიწის ფართობისათვის სოფლის შიგნით, ხოლო ცხაკურის ვენახებს, ტერასებზე გაშენებულ ბაღებს ანადგურებენ. მარტო მათი კუთვნილი 4,89 ჰექტარი ვენახის გაშენება 3,5 მილიონი მანეთი დაჯდა და ზოგიერთი უგუნურის მოქმედებით ეს მილიონები წყალში იყრება, პირუტყვის საძოვრად უნდათ აქციონ უსახელოურის ზვრები და ამ უნიკალურ ჯიშს კვლავ გადაშენება ემუქრება. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, ცხაკურის ტერიტორიაზე ზუბის კუთვნილ ვენახებსაც ხვალ თუ ზეგ ასეთი ბედი ელის.

განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს, ოყურეშისა და ზუბის საკრებულოების გამგებლებმა, მეურნეობის დირექციამ, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა ჰკვეთონ თვითნებობა და ცხაკურის ვენახებს ავაცდინოთ განადგურება.

ვლ. დავითულიანი.

### ომის ვეტერანებს

ბატონებო! გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად, ოჯახურ ბედნიერებას, მშვიდობიან მოძავალს.

პატივისცემით ცაგერის რაიონის სასამართლო.

### დეპუტატთა საყურადღებოდ!

1992 წლის 20 მაისს რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში 12 საათზე შედგება ცაგერის რაიონის საკრებულოს მორიგი სესია.

დღის წესრიგით:

საკრებულოს მუდმივი და დროებითი კომისიების შექმნა;

საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

რაიონის 1991 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1992 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

რაიონში მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ;

ინფორმაცია რაიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ.

სესიაზე დეპუტატთა დასწრება სავალდებულოა.

რაიონული საკრებულოს სამდივნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 18 მაისი მუზეუმთა საერთაშორისო დღეა

# აქ ისტორიაა დაუნჯებული

ყოველწლიურად აღინიშნება მუზეუმთა საერთაშორისო დღე. იგი ტრადიციად იქცა.

რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და მის ფილიალებში — ლ. ასათიანის, ა. ვ. გელოვანის, ს. ისიანის სახლ-მუზეუმებში, დიდების მუზეუმში თავმოყრილია 25 ათასზე მეტი ნივთი. მათ შორის არის უნიკალური კოლექციები, ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის იშვიათი ძეგლები, უნიკალური ქართული და უცხოური მონეტები, ძველი ხელნაწერი წიგნები და სხვა მასალები.

მუზეუმში დაცულ ნივთთაგან 14490 ძირითად ფონდს მიეკუთვნება. მათ შორის აღსანიშნავია არქეოლოგიური ძეგლების მდიდარი ფონდი — რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შემთხვევით ნაპოვნი ქვის, კაჟის, ძვლის, ბრინჯაოს, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები. აქვეა დაუნჯებული ანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარი, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის და სხვა სამკაულები, რომელთაც მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ.

მუზეუმის №1 ექსპონატია და დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მხედრის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ნაპოვნია ჩვენი რაიონის სოფელ ცაგერაში. მისი მორთულობა (თავსაბური, ბერძნულ — რომაული ტიპის წამოსასხამი, ფართო სარტყელი და სხვა) მოწმობს იმას, რომ ეს ფიგურა მიეკუთვნება ეპოქას, როდესაც ადრინდელი მხატვრული ტრადიცია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მხოლოდ ცალკეული ატრიბუტების გადმოცემაში იგრძნობოდა ელინისტურ-ირანული კულტურისა და ყოფა-ცხოვრების გავლენა.

მუზეუმი მდიდარია ეთნოგრაფიული ნივთებით, ექსპოზიციაშია ოდიშ-ლეჩხუმის დედოფლის, ერეკლე მეორის დის, კაცია დადიანის თანამეცხედრის ელისაბედის სამარხის ლოდის საბურველი, უნიკალური ნაქსოვ-ნაქარგი, რომელიც დამზადებულია 1770 წელს.

მუზეუმის ეთნოგრაფიულ კოლექციაში მრავალი ლეჩხუმური ნაქსოვ-ნაქარგია, შესრულებული ათეული და ასეული წლების წინათ.

ეთნოგრაფიული და სხვა სახის ნივთების შესახებ არსებული მასალების ფართო პოპულარიზაცია მუზეუმის მუშაკთა ყურადღების ცენტრშია.

მუზეუმში დაუნჯებულია დიდძალი მეტად საინტერესო საარქივო მასალა, ხელნაწერები და დოკუმენტები.

ბევრი მასალაა დაგროვილი მეორე მსოფლიო ომის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ ომში თავისი წვლილი შეიტანა ცაგერის რაიონმაც, რომლის საუკეთესო შვილები — 7 ათასზე მეტი კაცი ფრონტზე წავიდა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ნახევარზე მეტი დაიღუპა.

მუზეუმის მუშაკები კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ: აგროვებენ და იკვლევენ ომის მონაწილე ლეჩხუმელთა შესახებ მასალებს და საჭირო რეპგირებას აძლევენ.

დადასტურებული და სრული ჭეშმარიტებაა, რომ მუზეუმი ცხოვრებას სწავლობს და ასახავს ნივთებით, დოკუმენტებით, ხელნაწერებით, ე. ი. სამუზეუმო ძეგლებით, მათი ურთიერთკავშირის ჩვენებით.

ბევრი რამ საინტერესო და დასამახსოვრებელია ბუნების განყოფილებაში. დამთვალიერებლები იხილავენ რაიონის ბინადარ ცხოველთა და ფრინველთა ფიტულებს და მიიღებენ მათ შესახებ საჭირო ახსნა-განმარტებას.

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

მუზეუმთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვაცხადებთ ღია კარის დღეს. მუზეუმსა და მის ფილიალებში თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური მუშაკები.

19-20 მაისს დამთვალიერებლებს მოვემსახურებით უფასოდ.

**ვლ. ხეცურიანი,**
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

# განვლილი ომის ექო

## შეხვედრა ვეტერანებთან

47 წლის წინ დასრულდა ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ფაშიზმი დამანგრეველი ძალით მოევლინა მსოფლიოს და მხოლოდ უდიდესი მსხვერპლის ფასად დამარცხდა. საქართველოში დღესაც სტკივათ ამ ომისაგან მიყენებული განუკურნებელი იარები — სიცოცხლეშეწირული ძმები, მამები, მარადიულ ჯარისკაცებად დარჩენილი შვილები. ყოველი წლის 9 მაისს, ფაშიზმის დამარცხების დღეს, მთელი ერი სევდიანი სიამაყით იგონებს მათ მიერ გმირულად განვლილ საბრძოლო გზას. თუმც, უახლოეს წლებში ეს მშვენიერი ტრადიცია დაუმსახურებლად მივივიწყეთ, და აი, წელს ისევ კუთვნილი მასშტაბით აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

8 მაისს ცაგერის სარაიონო ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილმა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შინ მოუსვლელთა ხსოვნას. შეკრების საპატიო სტუმრებმა, ომის ვეტერანებმა ლევან ჩიქოვანმა, შალვა ცვარიანმა, ილარიონ სალინაძემ, ვლადიმერ ხეცურიანმა, ლეო ჩარკვიანმა თავიანთ მოგონებებში გაიხსენეს ომის გზებზე გადატანილი ჭირ-ვარამი.

ამ ქალარა ვეტერანების თაობამ ახალგაზრდობის ხანა ფაშიზმის სისასტიკესთან ბრძოლას შესწირა და შემდეგ, ბრძოლაგამოვლილებმა შეუსვენებლივ შეუდგნენ ომის ხანძრისაგან დაფერფლილი ქვეყნის აღდგენას.

შეხვედრის ორგანიზატორებმა წარმოადგინეს ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია.

განვლილი ომის ექო დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ, შეგვახსენებს ადამიანებს, რომ ყოველგვარი ომი, კაცთაკვლა მარადიული ტკივილია კაცობრიობისათვის.

**ლ. ცხვედიანი.**

## ქველმოქმედება

# ფონდმა რომ მისია აღასრულოს

თავისი არსებობის მესამე წელს ითვლის საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი. ამ ხნის მანძილზე მრავალი ადამიანის გაჭირვება და ტკივილი გაიზიარა ფონდმა, მხარში ამოუდგა დახმარების მომლოდინე მარტოხელა, ხანდაზმულ და ნაკლებადუზრუნველყოფილ პენსიონერებს, სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულ ადამიანებს.

ფონდი გამუხრელად ასრულებს თავის მიზნებს, რომ აღორძინდეს ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი გულმოწყალების, თანადგომისა და უანგარო ურთიერთდახმარების იდეალები, საზოგადოების ყურადღებას მიიპყროს იმ ადამიანებზე, ვისაც ესაჭიროება ყოველდღიური ზრუნვა და შემწეობა, განსაკუთრებით დღევანდელი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, როდესაც ხანდაზმული და მარტოხელა, შრომისუუნარო ადამიანი პრაქტიკულად დაუცველია და მოკლებულია სამედიცინო და სოციალურ დახმარებას.

საქართველოს თითქმის ყველა რაიონში არის შექმნილი ფონდის ხელშემწყობი კომისიები, ჩვენს რაიონში კი დღემდე ამ საკითხს რატომღაც არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ყოველივე ეს გაითვალისწინა რაიონული საკრებულოს გამგეობამ, რომლის ინიციატივით შეიქმნა ფონდის ხელშემწყობი კომისია (ხელმძღვანელი რაიონის მთავარი ექიმი მ. თოთაძე).

რაიონის აგრობანკის განყოფილებაში გახსნილია მიმდინარე ანგარიში №704.

იმედი გვაქვს, რომ რაიონის მშრომელები გამოიჩენენ ჩვეულ გულისხმიერებას და ფონდის ანგარიშზე შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხავენ გარკვეული რაოდენობის თანხებს, რათა ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს მარტოხელა და ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობები.

**საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ხელშემწყობი კომისია.**

## სპორტი

# ფრენბურთის ბადესთან

ცაგერის სპორტდარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის.

გოგონათა შორის ყველა შეხვედრა მოიგო ცაგერის საშუალო სკოლის გუნდმა და მოიპოვა პირველი ადგილი, მასთან ერთი წაგებით მეორე ადგილზეა ჩხუტელის საშუალო სკოლა, მესამეზე — ოყურეშის საშუალო სკოლის გუნდი.

ვაჟებს შორის მომხდებული გამოცხადდა და პირველობა არავის დაუთმო ზუბის საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილზეა ჩხუტელის, მესამეზე — ცაგერის საშუალო სკოლების გუნდები.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცა დიპლომები.

**ჯ. შაუგულიანი.**

# საგარეჯოშიც იასპარეზებენ

მიმდინარე წლის 5-7 მაისს ქალაქ ტყიბულში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში უფროსებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს შვიდი რაიონი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი რაიონის 9 წარმომადგენელი (ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელი ზაურ ჯამბურიძე).

საუკეთესოდ იასპარეზეს და თავი გამოიჩინეს კობა ქომეთიანმა და სულხან ჯამბურიძემ.

ჩვენმა გუნდმა საქართველოს ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. იგი საგარეჯოში გაიმართება უახლოეს დღეებში.

წარმატებები ვუსურვოთ მოჭიდავე ჭაბუკებს.

**დ. მუშკუდიანი,**
ცაგერის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე.

# ტკივილიანი ეტიუდები

ქუთაისის [illegible]

— ეს არის სიცოცხლე? გამომწვევად იკითხა ინვალიდმა ქალბატონმა.

— რა მოხდა? რა გაწუხებთ?

— სურმუშს მივდივარ, ერთი კვირაა გადმოსული ვარ გადაუდებელი საქმის გამო, თორემ დევეგდებოდი სახლში. უკან კი ველარ დავბრუნდი. ინვალიდი ვარ, ფეხით სად შემიძლია, თორემ...

ამ დროს მოედანზე ჩამოდგა ქუთაისში მიმავალი „ლაზი". მამაკაცებმა გადათელეს ქალები, ბავშვები და ჯგლეთაში გამარჯვებულებმა ნიშნის მოგებით გადმოგვხედეს ავტობუსის ფანჯრებიდან. ინვალიდი ქალბატონი კი დარჩა გაოგნებული, გაწბილებული.

— კი, მაგრამ ქუთაისამდე რატომ? — შევეკითხე.

რა ვქნა, აბა, გადაღმა არაფერი მიდის, ქუთაისამდე ჩავალ, მერე იქიდან ალპანამდე ან ჭილეშამდე, მერე სურმუშამდე ცალკე უნდა ვეძებო ტრანსპორტი.

იქნება მეორე ავტობუსიც ქუთაისამდე, ქალბატონო, არ ინერვიულოთ, ზრდილობისთვის შევაიმედე.

ეჰ, იმედიც კარგია, მარა...

**სიდუხჭირეს რა ვუთხრა**

საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარმა დარეკა. ყურმილს დავწვდი და ასეთი დიალოგი დავიჭირე: რას შვრები, არ მოდიხარ ლეჩხუმში? საფლავებს ბალახი მოეძალა ბიჭო, აღდგომა მოდის.

კარგი რა, ჩემი მყოფნის, რა ვქნა, ვერ ვახერხებ, 1000 მანეთი მაინც დამჭირდება ტრანსპორტში, მე კი 6 თვეა უმუშევარი ვარ. გეხვეწები, საფლავებს მიმიხედე, საფლავებს და ჩემი ეზო-კარი კარგა ხანს იქნება ასე უპატრონოდ მიტოვებული.

რა ვქნა, ისე წავიდა ცხოვრება, იქნებ საერთოდ ველარ ჩამოვიდე სოფელში.

**გზაში**

— ერთი რამ მიკვირს.

— ერთი, მეტი არა? მაინც რა?

— ეს მეზობელ-ნაცნობები, მეგობრებიც რომ აღარ აჩერებენ მანქანას, რა ღმერთი გაუწყრათ, რავა, ყველაფერი ფულზე ხურდავდება?

— არ გაუწბილო, მანქანას რომ აჩერებენ, ბენზინი მეტი იხარჯება თურმე. როგორ ფიქრობ ახლა, შენს თავს ერთი ჭიქა ბენზინი ერ ურჩევნია მეზობელს?

(?!)

**ერთი რეზიდენციის დერეფანში**

— წუხელ უყურე „პირისპირს"?

— ვუყურე.

— რავა მოგეწონა პეტრიაშვილი?

— პეტრიაშვილი პეტრიაშვილია, მაგრამ კვარაცხელიაც კარგი ცინიკოსია. ვითომ, ღვარძლი გადაარჩენს საქართველოს?

**კომერციულ მაღაზიაში**

— რა ღირს კარაქი?

— 250 მანეთი.

— მადლობელი ვარ, რომ დავინახე მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

რამინ ყურაშვილი ოჯახით.

---

**ლალი ვიქტორის ასულ გვიშიანს**
**ბესიკ რაინდის ძე ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ლამაზ ცხოვრებას, გამრავლებას, ულევ სიყვარულს.

შემნახველი ბანკის თანამშრომლები.

---

**იამზე გურჯალიანს, ბადრი ლარცულიანს.**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ შვილმრავალი, ფუძეძლიერი ოჯახი.

პროფსასწავლებლის თანამშრომლები.

---

**ნანა მუშკუდიანს, შუქრი გვიშიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

გურამ გვიშიანი ოჯახით.

---

**მაია ნოზაძეს, კობა მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გლოცავთ ულევი სიყვარულით, სიკეთით.

მარიკა, მამუკა მუშკუდიანები, ნათელა, ლალი კოპალიანები.

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ლალი, ხვიჩა ბენდელიანები, ნინო, თამაზ თუთისანები, ირმა ლიპარტელიანი ოჯახებით.

---

**ია გიგაურს, რომიკო თვარაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

შოთა, ოთარ, ზურაბ, სერგო, ნაში ხაბულიანები.

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

ბარდნალის საშუალო სკოლის X კლასელები და კლასის ხელმძღვანელი.

---

**ლალი კოპალიანს, გორის განძელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლება, სიკეთე, სიხარული დაგებედოთ.

მუხრანი, ვალერი, გია, თამაზი, მერაბი.

---

**ნატო ჯემალის ასულ დავითულიანს**
**გენადი ჯემალის ძე კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ზნემაღალი და დღეგრძელი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნუნუ მუშკუდიანი, ნათელა კოპალიანი.

---

**ია ილიას ასულ გიგაურს**
**რომიკო ოთარის ძე თვარაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ, იმრავლეთ. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

მარინე, მამუკა თვარაძეები.

---

**ნატო ჯემალის ასულ დავითულიანს**
**გენადი ჯემალის ძე კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გემრავლოთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მარინე, შამილ ლიპარტელიანები.

---

**ია ილიას ასულ გიგაურს**
**რომიკო ოთარის ძე თვარაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ამაღლებულ სიყვარულს, სითბოს, ეოობას, ულევ სიხარულს.

ლელა, ლეილა, მარინე, ბათულა, გოგი გაჩეჩილაძეები.

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი.

ონისე, მზისა, ზაალ კიკალიშვილები.

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ტკბილი ქართული ოჯახი შეგექმნათ.

ჯუმბერ, ზურაბ ჭაბუკიანები ოჯახებით.

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლება, სიხარული ნუ მოგკლებოდეთ.

რეზო გურგუჩიანი ოჯახით.

---

**იამზე უჩას ასულ გურჯალიანს**
**ბადრი ჟორას ძე ლარცულიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

დარეჯან, რამაზ მკერელები.

## გილოცავთ

**ჟუჟუნა არდანიანს**

საყვარელო ბებო! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.

ნანა, ნინო, ნათია, გიორგი ქარსელაძეები.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას. ვუსურვებთ გამრავლებას და სიხარულს.

ჟორა კუხალაშვილი ოჯახით.

---

**გრიგოლ დავითის ძე სალინაძეს**

ბაბუ! გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, დიდხანს სიცოცხლეს. დაესწარი მრავალს.

შენი დათუნა.

---

**დავით ვახტანგის ძე სალინაძეს**
**ვალერი ამირანის ძე კოპალიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეთ ღმერთი.

დათო, ნინო დავითულიანები.

---

**თამარ, გურამ ჩაფრავებს**

გილოცავთ შვილის, კობას ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოფილიყოს მისი ოჯახი.

ზაზა ყურაშვილი, ჯიმშერ, ჯუსტან ახვლედიანები, ზაურ ომანაძე, გენადი ჭაბუკიანი, თამაზ, პარიმონ ხეცურიანები, ბუჭუ მამარდაშვილი, ავთო ჩორგოლიანი, მარო სალინაძე, ვალოდია თოდიძე, ჯემალ ჩიკვაიძე, გივი შკუბულიანი.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.

ბეჟია თუთისანი, სეით ქომეთიანი, გივი ხაბულიანი ოჯახებით.

---

**თინა, ალიოშა ქლიბაძეებს**

გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.

გურამ კოპალიანი ოჯახით.

---

**ნაზი, თენგიზ გოლეთიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას. ბედნიერი გზით ევლოთ.

ჯაბო დავითულიანი ოჯახით.

---

**ლამარა ჟვირილიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

ლასურიაშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

---

**ნინო გუგავას, კახა გურჯალიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები.

---

**თამარ, გურამ ჩაფრავებს**

გილოცავთ შვილების ბედნიერებას.

გურამ კოპალიანი ოჯახით.

---

**ნინო ბუგავას, კახა გურჯალიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

ნათელა, ლალი კოპალიანები.

---

**ლალი ახვლედიანს, გია ნემსწვერიძეს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

რაიაბრეშუმის თანამშრომლები.

---

**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

ნელი, ვაჟა გუგავები.

---

**ლოლა ხაბულიანს, ოთარ თვარაძეს**

გილოცავთ შვილის, რომიკოს ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული, გამრავლება არ მოკლებოდეთ ცხოვრების გზაზე.

რეზო ბენდელიანი ოჯახით.

---

**ოთარ თვარაძეს ოჯახით**

გილოცავთ შვილის ბედნიერებას.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს ხიდმშენის თანამშრომლები.

---

**ლალი ლეთოდიანს, გიორგი კვირკაშვილს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო.

პროფსასწავლებლის თანამშრომლები.

---

**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

თემურ კოპალიანი, გენურ ქარსელაძე, ანზორ ჩაკვეტაძე, შერაგი ჯიაძე, აბესალომ ტვილდიანი, ზურაბ ხილაგაძე, ბონდო სალინაძე, ავთო მუშკუდიანი, იური ჭაბუკიანი, კობა ფრუიძე, რეზო შკუბულიანი, ილუშა ასათიანი.

---

**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**

გილოცავთ დათოს ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

ზაირა ჭილვარიძე, იზო და გია ბურჯალიანები.

---

**იზო ტვილდიანს,**
**ვაჟა კვენეტაძეს**

გილოცავთ შვილის, დათოს ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ნათია, თეა, ჯაბა, ლევან ტვილდიანები.

---

**ლელა ახვლედიანს,**
**გია ნემსწვერიძეს**
**ლალი ახვლედიანს,**
**მირზა ხეცურიანს**

გილოცავთ ქალიშვილების შეძენას. გაზრდილიყვნენ სასახელო ქართველი ქალები.

ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები.

---

**ლალი ლეთოდიანს,**
**გიორგი კვირკაშვილს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი. გფარავდეთ ღმერთი.

ბარდნალის საშუალო სკოლის X კლასელები და კლასის ხელმძღვანელი.

---

**სულიკო, ჯიმშერ ფოჩხიძეებს**

გილოცავთ ინგას ბედნიერებას.

კომუნალურ საწარმოთა კომბინატის თანამშრომლები.

---

**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**

გილოცავთ დათოს ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე დაჰბედებოდეს მის ახლადშექმნილ ოჯახს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გურამ გვიშიანი ოჯახით.

---

**ნორა, ჟორა, გრიგოლ ფრუიძეებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის, მერაბის ბედნიერებას. შეექმნას ფუძეძლიერი ოჯახი.

შაქრო შკუბულიანიოჯახით.

---

**სოფო, სოსო მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

ანზორ კვირკაშვილი, ჭიჭიკო ბახსოლიანი ოჯახებით.

---

**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ ნატოს ბედნიერებას.

ზაურ ახვლედიანი, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით.

---

**ალუდა ჯოკიას ძე ზურაბიანს**

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. ბედნიერების, ჯანმრთელობის და ულევი სიხარულის მომტანი იყოს თქვენთვის საუკუნის მეორე ნახევარი.

ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები.

---

**ხათუნა ოთარის ასულ კაკოსნიძეს**
**ფატიმა ბავჩის ასულ ტვილდიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს.

ხათუნა, ნუგზარ დავითულიანები.

---

**ვიტალი მუშკუდიანს**

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი.

ნინელი, ტუკა ჩხეტიანები, სოფო, სოსო მუშკუდიანები.

## ყურადღება!

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გატანილი გაქვთ გრძელვადიანი სესხი და მისი გადახდის ვადა დაწყებულია, გთხოვთ გამოცხადდეთ ცაგერის შემნახველ ბანკში ამა წლის 20 მაისამდე, გაერკვეთ ვითარებაში და დაუყოვნებლივ დაიწყოთ თანხის დაფარვა. ვადაგადაცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა რაიონულ სასამართლოს.

ცაგერის შემნახველი ბანკის მმართველი.

## ხსოვნა

## ზურაბ ლეთოდიანი (კვერნა)



რაზედაც ძნელია ფიქრი, რაზედაც ძნელია საუბარი, წერაც ძნელია...

თუ ლახვეული მოადგა სოფელს სიკვდილი და გამოგარჩია დედმამიშვილებისაგან, მეგობრებისაგან...

რამდენ ადამიანს დააკლდა შენი სიცოცხლე ამ გაზაფხულზე...

ადამიანმა ამ ქვეყნად კაცურ კაცად რომ იცხოვრო, ძმად რომ იცხოვრო, ყველას გულში მეგობრად რომ იცხოვრო—ალბათ არავინ შემრისხავს, რომ ეთქვა—ზურია ლეთოდიანი ყველა ამ ღირსების პატრონი იყო...

სიკვდილის შემდეგ დრო კი არ გადის, დრო სანთლად დნება, დრო ცრემლად დნება.

სიკვდილის შემდეგ მხოლოდ დარდად იწყება გათენება, შენი სიკვდილი ენით უთქმელია, ცრემლით გაუქარწყლებელი...

არც ისე დიდი გზა არის გავლილი, საწყენია, რაც დღე დააკლდა ზურია ლეთოდიანს, მის არც შვილს შეემატება და არც შვილიშვილს...

ალბათ ნადირობა ერთ-ერთი ლამაზი მისწრაფება იყო მის ცხოვრებაში წინაპართაგან გადმოცემული, არც ამ საქმეს გააგრძელებს მისი შთამომავალი, ზურია ლეთოდიანი ღმერთისათვის სულით ხორცამდე მთელი მსხვერპლია...

თუ რამე არის ამ ქვეყნად მწარე, დედის ცრემლია უპირველესი.

მსუბუქი იყოს ის სამარის მიწა შენთვის, შვების იყოს დედის ალალი ცრემლი შენთვის...

მთვარისა ბენდელიანი.

## ლილი კოპალიანი - სალინაძე

სამი წელია, რაც განუკურნებელმა სენმა უდროოდ, სამუდამოდ დაგატოვებინა საყვარელი ოჯახი.

ყველასათვის მზრუნველი იყავ, სიკეთეს თესდი. ძნელია უშენობა, განსაკუთრებით შენი მეუღლისათვის.

გვიმძიმს შენი სიცოცხლის ბოლო დღეების გახსენება, ძლიერ ტკივილებს ღიმილში მალავდი, ისევ ჩვენ გვამხნევებდი. სად არ წაგიყვანეს და გიმკურნალეს ბადრიმ და ნუკრიმ, მაგრამ ამაოდ. დრო გადის, შენს პატარა შვილიშვილებს ნინოს და თეას არ ავიწყდები, ბებიას სითბო აკლია პატარა ლიკას.

აღდგომას ტრადიციულად ყველამ მოვაკითხეთ შენს საფლავს, რომელსაც არც არასოდეს მოაკლდება ჩვენი ცრემლები და ყვავილები.

შენი ნათელი ხსოვნა მარად იქნება ჩვენს გულში. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

მეუღლე, შვილები, რძლები.

---

შვილები ჯანსული, ლუიზა, ჯიმშერი, ძმა ბესარიონი, და დოდო, რძლები ირმა, იზაბელა, დოდიკა, სიძე შუბუჯობაძე, შვილიშვილები მამუკა, თამუნა, მაია, ზვიადი, შვილთაშვილები ირინოლა, ნიკა, ბიძაშვილები გურამ, ლევან ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავდიდ ეფრემის ძე ჩარკვიანი**

დაკრძალვა 16 მაისს შაბათს, თბილისში. გამოსვენება კოსტავას ქ. № 50-დან.

---

გიზო, რომან კოპალიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლილი ჩაკვეტაძე-ბენიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯენი მანდარიას ბიცოლას

**თამარ მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

დადაში ურთმელიძე, ცოლია გიორგობიანი, მურთაზ სილაგაძე, რეზო გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე ლაკვეხელიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ გუგავა, კახა ბურჯალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზი, ჟორა ჩაჩხიანებს რძლის

**ლია ურთმელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები გრიშა, მერი, რეზო, ნოდარ ჩხეტიანები, რძლები ნორა ვაჭარაძე, გულნაზი მესხაძე, სიძე ომარ ფარეიშვილი, შვილიშვილები ზაზა, გია, ზურა, ზურიკო, მერაბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარო ივანეს ასული ჰაბუკიანი-ჩხეტიანი**

დაკრძალვა 17 მაისს კვირას, სოფ. მახაშში.

---

უახლოესი მეზობლები ტრისტან, პაატა არდანიანები, ოთარ, ვენედი, ავთო ცხვედიანები, დიმიტრი, იური, ნოდარ, დავით კენჭაძეები, გოგუცა, ვასილ ჩხეტიანები, ჟორა, ავთანდილ მუშკუდიანები, ვალოდია, დადაში გოლეთიანები, სერგო ასათიანი, გენადი კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ რეზო, ნოდარ ჩხეტიანებს დედის

**მარო ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, გელა სალინაძეები, ოთარ, მალხაზ ლიპარტელიანები, გივი ჩაფრავა ოჯახებით იუწყებიან

**ჟორჟ ვლადიმერის ძე ბაბუნაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ლუბა სილაგაძე, ლილი მამარდაშვილი, გოჩა ახვლედიანი თანაუგრძნობენ ლუბა, ბიჭიკო მამარდაშვილებს დისა და მულის

**მედიკო ინდიკოს ასული მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

კომუნალურ საწარმოთა კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციური მამარდაშვილს მამიდის

**მედიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები, სოსო ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან

**კირილე ჩაკვეტაძის**

გარდაცვალებას.

---

ოთარ, ციალა, ნატია აბაშიძეები იუწყებიან

**ლია ურთმელიძე-ჩაჩხიანის**

გარდაცვალებას.

---

ალვის საკრებულოს, კლუბ-ბიბლიოთეკის, საექიმო უბნის, კავშირგაბმულობის განყოფილების, სავაჭრო ორგანიზაციების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი, ცეცილი ბობოხიძეებს ბებიის

**მაკრინე ბობოხიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მთვარისა გოლეთიანი, ნინო, ნანი მურცხვალაძეები, ბელა დავითულიანი, რუსიკო ხაბულიანი, ლუბა ტვილდიანი, ლედი გოგიძე, იზა ჩაჩხიანი, ნანული ხვადაგიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მზია, დოდო, ნაზი, კარლო ჩაკვეტაძეებს მეუღლისა და სიძის

**ჟორჟ ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა მუშკუდიანს მამამთილის

**დავით აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები შოთა, რუბენ, გიორგი, ზურაბი, ნინა, რძლები ნაირა, გოგუცა, ლოლა, ვალია, თალიკო, შვილიშვილები რომანი, ომარი, როზა, როლანდი, იური, ჯანიკო, ლია, გენადი, ედუარდი, გია, ია, ეკა, გენადი, გენური, გელა, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლია ვასილის ასული ხეცურიანი-ნემსწვერიძე**

---

შვილები დავითი, რაინდი, დოდო, ეთერი, თალიკო, ვენერა, სულიკო სილაგაძეები, რძლები გოგუცა სვანიძე, ნათელა ქომეთიანი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გალაქტიონ ევგენის ძე სილაგაძე**

დაკრძალვა 16 მაისს, შაბათს სოფ. ლასურიაშში.

---

დედამთილი საშა, მაზლები ჟორა, რეზო, ბიჭიკო, ჯემალი, თამაზი, შიო, ბიძაშვილები გივი, ჯემალი, რუსიკო, ნელი ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ლილი ბენიძის**

გარდაცვალებას.

---

ანზორ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნინო, თენგიზ კოპალიანებს დედის და სიდედრის

**ლილი ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა ციხელაძე ოჯახით თანაუგრძნობს საშა ბენიძის ოჯახს

**ლილის**

გარდაცვალების გამო.

---

დემურ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ელენე ბესოს ასული ლაკვეხელიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

ანზორ ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**იამა არტემის ძე ფუტკარაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ავთო ბერიძე, უჩა, ალექსანდრე, ქსენტი, ბორის გოლეთიანები, გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები, კარლო, მერაბ, ანზორ ცვარიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კირილე ჩაკვეტაძე**

---

შოთა ხვადაგიანი ოჯახით თანაუგრძნობს რეზო ჩხეტიანს დედის

**მაროს**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ინგა კუხალაშვილს ძმის

**გრიშა კუხალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ასკალო სვანიძე, თემურ შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ აბესალომ, ლევან ფუტკარაძეებს ძმის და ბიძის

**იამას**

გარდაცვალების გამო.

---

ილუშა ურთმელიძე, მურთაზ, ხვიჩა ჩაჩხიანები, ამირან იობიძე, ბესიკ გოგოშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე ბესოს ასული ჩაჩხიანი-ლაკვეხელიანი**

---

შვილები ნორა, ძაძუ, [illegible] მერგენ ჩაჩხიანი, [illegible] ლაკვეხელიანი, რძალი ლეილა სადილიანი, [illegible] ელისო, ნინო, [illegible] ლიანები, [illegible] მახარობლიძეები, მაია დაშნიანი, სიძეები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელენე ბესოს ასული ლაკვეხელიანი**

---

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი ჩაკვეტაძეს სიძის

**ჟორჟ ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ჯენი მანდარიას ბიცოლას

**თამარ მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ ბესარიონის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გალაქტიონ ევგენის ძე სილაგაძე**

---

დესნა სილაგაძე, ზაურ სალინაძე, შოთა, სევარიონ, მარო, შოთა კოპალიანები, ანზორ ტვილდიანი, დემურ ჩაკვეტაძე, სოსარ, თამაზ, გივი ბენდელიანები, მურთაზ ჩარკვიანი, ნუშარ ხვადაგიანი, ბორის, დათო ხეცურიანები თანაუგრძნობენ ნაზი, კარლო ჩაკვეტაძეებს სიძის

**ჟორჟ ბაბუნაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა სანთელაძეს ბიძის

**აპოლონ გოგიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა სალინაძე, დემურ უგრეხელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გალაქტიონ ევგენის ძე სილაგაძე**

---

ორბელის საშუალო სკოლის I კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი როლინა მინდაძე თანაუგრძნობენ ნატო, დათო აბაშიძეებს ბაბუის

**დავით აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ამირან მუშკუდიანი, ტიტიკო კოპალიანი, დოდო ჩაკვეტაძე, ლენა, მიშა ყურაშვილები, გურამ ჩარკვიანი, სოსო კუხალაშვილი, შალვა, ბიძინა, ბახვა სალინაძეები, ნუნუ ბაბუხადია, თინა ახვლედიანი თანაუგრძნობენ მაყვალა, მერაბ დაშნიანებს მამისა და სიმამრის

**ალექსანდრე მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

კუკური, მიშა მახარობლიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ანიკო, შურა ურთმელიძეებს შვილის

**ლიას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით ერისტოს ძე აბაშიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ლეჩხუმი" გამოდის ოთხშაბათს. ტირაჟი 2900 შეკვეთა №19

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-85, სტამბის დირექტორის — 22-17, საამწყობო საამქროს — 22-23

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.